

# სადამფუძნებლო ხელშეკრულება

თამარ გაბადაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის,  
კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტის, მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## აბსტრაქტი

როგორც ვიცით, საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს სადამფუძნებლო ხელშეკრულებას, რომლის არსებობის აუცილებლობასაც პრაქტიკა ადასტურებს. პრობლემა კი მდგომარეობს იმაში, რომ ქართველ მეწარმეებს არ აქვთ ინფორმაცია მისი სამართლებრივი ბუნების შესახებ, ნაწილი კი მას მცდარ განმარტებას აძლევს და აიგივებს წესდებასთან. ყოველივე ეს კი განპირობებულია ინფორმაციის არქონით. კვლევის მიზანიც სწორედ ის გახლავთ, რომ ინვესტორებს დაანახოს სადამფუძნებლო ხელშეკრულების ადგილი ქართულ კანონმდებლობაში, განისაზღვროს მისი სამართლებრივი ბუნება და მნიშვნელობა.

იმისთვის, რომ კვლევის ფარგლებში მიმედწია დასახული მიზნისთვის დამჭირდა არაერთი მკვლევარის ნამუშევრი შემესწავლა, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ სადამფუძნებლო ხელშეკრულების შესახებ თითქმის არცერთი არ საუბრობდა, იმ მწირი ინფორმაციის საფუძველზე რაც გამაჩნდა, გადავწყვიტე თავად მომეძებნა სადამფუძნებლო ხელშეკრულების ადგილი საქართველოს კანონმდებლობაში და აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე დაყრდნობით განმესაზღვრა მისი ძირითადი თავისებურებები, რის საფუძველზეც დავადგინე, რომ სადამფუძნებლო ხელშეკრულება არის გარიგება, რომელიც წარმოადგენს წინარე ხელშეკრულების ერთ-ერთ სახეს. თუმცა გარდა ვალდებულებით-სამართლებრივისა, მას აქვს კორპორაციულ-სამართლებრივი ბუნებაც, რაც გამოიხატება მის საგანში, კერძოდ კი ურთიერთობებში, რასაც ის არეგულირებს. კვლევის შედეგად დადგინდა სადამფუძნებლო ხელშეკრულების ფორმასავალდებულოობა, ბათილობის წინაპირობები და პრაქტიკაში გამოყენების უპირატესობები. მოცემული კვლევა, ვფიქრობ, გახდება ინვესტორებისთვის დაფიქრების საფუძველი და დაარწმუნებს მათ მისი ქონის აუცილებლობაში.

## Abstract

Georgian legislation does not regulate promoters contract, that is quiet essential to be regulated as the practice shows. The problem is that, Georgian industrialists do not have information about its legal nature. And the part of them even think that, this is the same as an article of association. All this happens because of the lack of information. So the aim of the research is to show the investors the rule of the promoters contract in Georgian legislation, Define its significance.

In order to achieve the aim of the research, it was essential to study the works of different researchers. But it turned out, that none of the works refers to the promoters contract. Considering this fact, I made the decision, to find the place of this type of contract in Georgian legislation myself. So, I decided to define its basic peculiarities. It turned out, that promoters contract, that is one of the types of the previous agreements, also has corporative nature. This is declared in its subject, In the relationships that it regulates. The research shows the obligatory nature of the promoters contract, the prerequisites of its invalidity and the advantages of using it in practice. From my point of view, the research will make the entrepreneurs think about the issue and make them sure to start using this type of contract in practice.